

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“

წარმოდგენილ პროექტით ამოღებულ იქნა საქონლის დროებით შემოტანა ან/და გატანის ნებართვა, რაც დაკავშირებულია იმ ზედმეტ ადმინისტრაციულ ბარიერებთან, რომელთანაც შეხება ექნება, როგორც იურიდიულ ასევე განსაკუთრებით იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც გადმოკვეთენ საქართველოს საბაჟო საზღვარს. მაგ. ტურისტი. რომელიც სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტში გადაკვეთს საბაჟო საზღვარს და თან მოაქვს ისეთი საგნები, რომელიც ექვემდებარება მოცემულ რეჟიმში მოქცევას, იძულებული იქნება თბილისში მიმართოს საბაჟო დეპარტამენტს შესაბამისი ნებართვების ასაღებად. ამდენად მოცემული საკითხი უნდა დარეგულირდეს არა ცენტრალიზებული ნებართვით, არამედ შემოსვლის საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით ანუ შესაბამისი სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის აქცეპტირებით. აღნიშნული პრაქტიკა მიღებულია ცივილიზებულ მსოფლიო საბაჟო ურთიერთობებში.

პროექტით საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვები დიფერენცირებულია საწყობის სახეების მიხედვით, რადგანაც ღია, დახურული და დროებითი შენახვის საწყობებს შესაბამისი სპეციფიკა გააჩნიათ და ამდენად მათზე ერთი ტიპის ანუ საბაჟო საწყობის ნებართვის გაცემა შეუძლებელია.

პროექტით კანონში წარმოდგენილია დამატება, რომლის მიხედვით ნებართვას ექვემდებარება „ საქონლის გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ“. ეს იმით არის გაპირობებული, რომ მოცემული საბაჟო რეჟიმი გადამუშავების ტექნოლოგიური პრინციპებით ემთხვევა საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების საბაჟო რეჟიმის შესაბამის პრინციპებს. ვფიქრობთ, რომ ეს საბაჟო რეჟიმი მექანიკურად არის გამორჩენილი კანონში.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. პროექტი მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ.